

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გაბიონი“ (212735806) დაფუძნებულია 2007 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მავთულის ნაწარმის (გაბიონების, გაბიონის ლეიბების, მავთულბადეებისა და ეკალმავთულების) წარმოება. აგრეთვე ახორციელებს სხვა საცალო ვაჭრობას სამშენებლო და მავთულის ნაკეთობისას. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ნიკეას მე-7 ჩიხი # 1. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელი არის გურამ გურეშიძე, პ/ნ 60002014936, საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები ქ. ქუთაისში ევდოშვილის ქ. #36

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 25 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანია ადრეულ პერიოდებში ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას საკუთარი მოხმარებისათვის, რომელიც განკუთვნილი არ იყო გარე მომხმარებლებისათვის, კომპანიის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება პირველად მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.3 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 პროდუქციის წარმოება.

პროდუქციის წარმოება ხდება თითოეული პროდუქციის საწარმოებლად დირექციის მიერ დამტკიცებული კალკულაციების მიხედვით. მათ დასამზადებლად გამოყენებული ნედლეულის 85 % იმპორტირებულია თურქეთიდან და დანარჩენი 15 % შეძენილია ადგილობრივ ბაზარზე.

4.6 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.7 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. თითოეულ ჯგუფზე გამოყენებულია შემდეგი პროცენტები:

1.შენობა-ნაგებობებზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე -5%.

2.მანქანა- დანადგარებზე, ოფისის ავეჯზე, ინვენტარზე და სატრანსპორტო საშუალებებზე-20%.

3.არამატერიალურ აქტივზე-15%.

4.8 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში

თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები (მოგება-ზარალი, საწარმოს ბალანსი, საკუთარ კაპიტალში ცვლილებები და ფულადი სახსრების მოძრაობა) მომზადებულია პირდაპირი მეთოდით.

5. საქმიანობის შედეგები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2018
1	საოპერაციო შემოსავალი გაყიდვებიდან	3279045
2	მომსახურების გაწევა	28119
	სულ ამონაგები:	3307164

საოპერაციო შემოსავალი მოიცავს შემენილი პროდუქციის, (ხვედრითი წილი მთლიანი საოპერაციო შემოსავლის 0,9%), მზა პროდუქციისა და ზოგიერთი სახის ნედლეულის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 3279045 ლარს, ხოლო მოსახურების გაწევა ხორციელდება ტრანსპორტით და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 28119 ლარს. სულ საოპერაციო ამონაგები არის 3307164 ლარი.

#	დასახელება	2018
1	საწყისი მარაგები	268162
2	მარაგების შესყიდვა	2368864
3	გადამუშავების დანახარჯი	2206012
4	საბოლოო მარაგები	431014

საწყისი მარაგები 268162 ლარი მოიცავს საქონლის ნაშთს 7453ლ, ნედლეულის ნაშთს 156117 ლ, დაუმთავრებელი წარმოების 38ლარს, მზა პროდუქციის 91086 ლარს, სხვა მატერიალური მარაგების 13468ლარს, შესყიდული სულ 2368864 ლარის მარაგებიდან საქონელია 14434 ლარის, ნედლეული და მასალები 2284252 ლარის, დამხმარე მასალები და საწვავი 69978 ლარის,დამზადდა 2151127 ლარის პროდუქცია, გადამუშავების დანახარჯში 2206012 ლარი, საბოლოოდ მარაგების ნაშთმა შეადგინა 431014 ლარი.აქედან საქონლის 6263 ლ, ნედლეულისა და მასალის 222020 ლ, მზა პროდუქციის 191257 ლ, სხვა მატერიალური მარაგების 10609 ლ და სხვა მიმდ. აქტივი 865 ლარი.

#	დასახელება	2018
1	სულ ამონაგები	3307164
2	პროდუქციის თვითღირებულება	2316698
3	საერთო მოგება	990466

პროდუქციის თვითღირებულებაში 2316698 ლარი გაერთიანდა პროდუქციის ღირებულება 2130785 ლარი, საქონლის თვითღირებულება 15600 ლ, საწვავის ხარჯი 16761 ლარი, წარმოების მუშების ხელფასმა შეადგინა 153551 ლარი. საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 990466 ლარი.

#	დასახელება	2018
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	179250
2	ცვეთა და ამორტიზაცია	55761
3	იჯარის ხარჯი	1200
4	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	94855
5	სულ საოპერაციო ხარჯი	333498

მუშების ხელფასმა შეადგინა 179250 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 55761 ლარი, იჯარის ღირებულებამ 1200 ლარი და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯში 94855 ლარში არის რეკლამის ხარჯი 2432 ლარი, სხვა საგადასახადო ხარჯი 5391 ლარი, საკომუნიკაციო, საგადასახადო, კომუნალური, საბანკო და სხვა ხარჯი 69681 ლარი.

#	დასახელება	2018
1	არასაოპერაციო შემოსავალი	46837
2	არასაოპერაციო ხარჯები	15404
	სულ არასაოპერაციო ამონაგები	31433

არასაოპერაციო შემოსავალი ჩაშლილია შემდეგნაირად: საპროცენტო შემოსავალი (ბანკში განთავსებული ანაზღაურებიდან მიღებული), 8995 ლარი, კურსთა შორის სხვაობიდან 21772 ლარი, ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 16069 ლარი, სულ 2018 წლის არასაოპერაციო ამონაგებმა შეადგინა 46837 ლარი. არასაოპერაციო ხარჯია 15404 ლარი. კურსთაშორის მიღებული ზარალი.

#	დასახელება	2018
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	688401
2	მოგების გადასახადი	0

3	მოგება/(ზარალი)	688401
4	სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	688401
5	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	688401

უნდა აღინიშნოს, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩასათვლელმა მოგების გადასახდმა გადაფარა მოგების გადასახდელი თანხა და მოგების გადასახდმა აღარ მოუწია. ამრიგად მთლიანმა სრულმა შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 688401 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

#	დასახელება	2018
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	1554347
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	688401
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(446852)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1795895

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 1554347 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 688401 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 437615 ლარით და მოგების გადასახადის დაკორექტირებით 9237 ლარი და 2018 წლის ბოლოსათვის შეადგინა 1796095 ლარი. აქედან 2017 წლამდე გაუნაწილებელი მოგებაა 565533 ლარი და 2017 წლიდან 1230363 ლარი. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს.

7. ფინანსური მდგომარეობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დასახელება	2018	2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	569599	640971
სავაჭრო მოთხოვნები	222644	271155
მარაგები		
მზა პროდუქცია	191257	91086
სხვა მიმდინარე აქტივები	255958	177010
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	621602	420321
არამატერიალური აქტივი	164	190
სულ აქტივები	1860224	1600799
ვალდებულებები	33980	35322
სავაჭრო ვალდებულებები	5360	10930
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	24789	0
სულ ვალდებულებები	64129	46252
საკუთარი კაპიტალი	1554547	1182181
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	241548	372366
სულ საკუთარი კაპიტალი	1796095	1554547
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1860224	1600799

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში . კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ეკვივალენტებზე იყო 640971 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 3989354 ლარი, გასულია 4060726 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 569599 ლარი.

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 271155 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 3940843 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 3989354 ლარი და დარჩა მისაღები 222644 ლარი. გაიცა მოკლე ვადიანი სესხი სხვა საწარმოზე, 15000 ლარის ფარგლებში, გადახდილია მოგების გადასახადი აღნიშნულ სესხზე.

დასახელება	1	2	3	4	5	6	7	სულ	
ნაშთი 31.12.2017	33552	97513	70109	64567	13556	141024	189	420511	
შემოსვლა	8895	14378		95604	6916	69119		194748	
გასვლა	0					(7739)		(7739)	
ცვეთა	0	(5595)	(3505)	(15243)	(3752)	(27640)	(26)	(55761)	
ნაშთი	42447	106298	66603	144928	16720	174599	164	551759	

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

1 ჯგუფი - მიწა. 2 ჯგუფი - დაუმთავრებელი მშენებლობა. 3 ჯგუფი - შენობები და ნაგებობები. 4. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები. 5 ჯგუფი- ოფისის არჭურვილობა და ინვენტარი. 6 ჯგუფი - სატრანსპორტო საშუალებები. 7 ჯგუფი-არამატერიალური აქტივი.

აგრეთვე გრძელვადიან აქტივებში დასმულია ინვესტიციები სხვა საწარმოში 70007 ლარი წლის ბოლოსთვის.

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 10930 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 2729883 ლარი, გასტუმრებული იქნა 2735452 ლარი, და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 5360 ლარი.

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში არ იყო და წლის ბოლოსათვის დარჩა 14239 ლარი. ძირითადად კომპანიას ხელფასის გაცემის დღე აქვს მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება საგადასახადო ვალდებულებები 33980 ლარის.

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 1554347 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 688401 ლარი, გაიცა დივიდენდები 437615 ლარის, დაკორექტირდა მოგების გადასახადი 9237 ლარი და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 1795895 ლარი.

8. ფულადი სახსრების მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2018
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3989354
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(4060726)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	640971
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	569599

წლის განმავლობაში მოთხოვნებიდან შემოსულია 3989354 ლარი, ხოლო წლის განმავლობაში მთლიანად გასტუმრებულია 4060726 ლარის ვალდებულებები, მათ შორის მომწოდებლების 2735452 ლარი, ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 298371 ლარი, გადახდილი დივიდენდები 415734 ლარი, საგადასახადო გადასახადები 611169 ლარი.

შპს „გაბიონის“ დირექტორი:

გურამ გურეშიძე

27/09/2019 წ.